ომბუდსმენის შედეგების შეფასების დასკვნითი ანგარიში

საჩივარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობსადენის პროექტის თაობაზე
(პროექტი N 11251)

ვალე, საქართველო

2011 წლის დეკემბერი

მრჩეველი/ომბუდსმენის ოფისი
საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია/
მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო
www.cao-ombudsman.org

სარჩევი

აკრონიმების ჩამონათვალი 3

1. შესავალი 4

2. პროექტი 5

3. საჩივარი 5

4. შეფასების მეთოდოლოგია და შედეგები 6

5. მრჩეველი ომბუდსმენის მიერ დავის გადაწყვეტის პროცესი და დასკვნები 6

6. საბოლოო მოსაზარებები 6

აკრონიმების ჩამონათვალი

BP	ბრიტანეთის პეტროლიუმი
BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი
CAO	მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი
IFC	საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია
MIGA	მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო

1. შესავალი

მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) დამოუკიდებელ დამხმარე მექანიზმს. მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) ანგარიშვალდებულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის წინაშე. ომბუდსმენის მოვალეობაა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) ხელშეწყობით განხორციელებული პროექტების შედეგად დაზარალებული პირების საჩივრების სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული განხილვა. ამასთანავე, აღნიშნული პროექტების შედეგად, სოციალური და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

ომბუდსმენის ოფისის ერთ-ერთ მოვალეობად ითვლება მიღწეული შედეგების შეფასების ჩატარება. ომბუდსმენის შედეგების შეფასების მიზანია: (1) მომჩივანთა მიერ წამოჭრილი პრობლემებისა და საჩივრების გარკვევა; (2) ინფორმაციის შეგროვება, რათა დადგინდეს, თუ როგორ განიხილავენ შექმნილ სიტუაციას სხვა მხარეები; და (3) CAO ომბუდსმენისა და სხვა მხარეებისათვის დახმარების გაწევა იმის განსაზღვრაში, თუ რა გზით არის შესაძლებელი საჩივარში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა.

CAO-ს პროცედურული სახელმძღვანელოს[1] შესაბამისად, საჩივრის მიღების შემდეგ, ჩვეულებრივ, შემდეგი პროცედურები ხორციელდება:

საფეხური 1: საჩივრის მიღების **დადასტურება;**

საფეხური 2: **საჩივრის შესაბამისობის დადგენა**: უნდა განისაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი CAO ომბუდსმენის მანდატით განსაზღვრულ კრიტერიუმებს (განხილვა სრულდება არაუმეტეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში);

საფეხური 3: **ომბუდსმენის შეფასება**: პრობლემების შეფასება და მხარეების დახმარება, რათა ომბუდსმენის ხელშეწყობით განისაზღვროს არსებული დავის ერთობლივად გადაჭრის შესაძლებლობები ან საჭიროების შემთხვევაში, დადგინდეს, რომ საჩივარი შემდგომი შეფასებისთვის უმჯობესია გადაეცეს CAO ოფისის აუდიტის დეპარტამენტს, სადაც შეფასდება, თუ რამდენად კარგად ასრულებს საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო (MIGA) სოციალურ და გარემოს დაცვის ნორმებს და ამ საკითხთან დაკავშირებულ ნაკისრ ვალდებულებებს. (აუდიტი 120 სამუშაო დღეში სრულდება)

საფეხური 4: **დავის გადაჭრის ხელშეწყობა**: თუ CAO ომბუდსმენის მონაწილეობით პროცესს მსვლელობა მიეცა, ეს ეტაპი დავის გადაჭრის პროცესის წამოწყებას ითვალისწინებს (ჩვეულებრივ ეს პროცესი „ურთიერთგაგების ხელშეკრულების გაფორმებით ან/და

---

[1] CAO-ს როლისა და საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ „პროცედურული სახელმძღვანელოს სრული ვერსია CAO-ს ინტერნეტ გვერდზე: : http://www.cao-ombudsman.org/about/whoweare/index.html

მხარეთა შორის ძირითად წესებსა და პრინციპებზე შეთანხმებით იწყება) აღნიშნული პროცესი მედიატორის ხელშეწყობით ვითარდება და მოიცავს როგორც ფაქტებისა თუ მონაცემების ერთობლივ მოძიებას, აგრეთვე დავის გადაჭრის ურთიერთშეთანხმებული გზების დასახვას. პროცესის საბოლოო მიზანია წამოჭრილი დავის მოგვარება ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ქმედებების განხორციელება. პრობლემის გადაჭრის პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია საჩივარში აღნიშნული დავის საგნის ან სხვა თანმდევი საკითხების - რომელიც დაკავშირებულია საჩივართან ანდა შესაძლოა წამოიჭრას საჩივრის შეფასების ან მოგვარების პროცესში - განხილვა და გადაწყვეტა დავაში მონაწილე მხარეებისთვის მისაღები ფორმით [2].

ან

შესაბამისობის შეფასება/აუდიტი: თუ დავის ურთიერთშეთანხმებით გადაჭრა არ არის შესაძლებელი, CAO ომბუდსმენი იწყებს შესაბამისობის შეფასებას/აუდიტს. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მულტილატერალური ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს (MIGA) სოციალური და გარემოს დაცვის ნორმების შესრულების შეფასება-აუდიტს.

საფეხური 5: **მონიტორინგი** და შემდგომი ღონისძიებები

საფეხური 6: **დასკვნა** / საქმის დახურვა

2011 წლის ივნისში CAO ომბუდსმენის ოფისში წარდგენილ იქნა საქართველოში, ქალაქ ვალეში მცხოვრები ორი მიწითმოსარგებლის საჩივარი. წარდგენილი საჩივრის თანახმად, ბთჯ-ს კონტრაქტორი სამშენებლო კომპანიის საქმიანობის შედეგად დაზიანდა მომჩივანების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი და უვარგისი გახდა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის.

2011 წლის 8 ივლისს CAO-მ დაადგინა, რომ საჩივარი აკმაყოფილებდა განხილვისათვის აუცილებელ სამ კრიტერიუმს:

---

[2] როდესაც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს არ შეუძლიათ პრობლემების ურთიერთშეთანხმების გზით დათქმულ ვადაში მოგვარება , CAO ომბუდსმენი უპირველეს ყოვლისა შეეცდება დაეხმაროს დავაში მონაწილე მხარეებს დაბრკოლებების გადალახვასა და ჩიხური მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში და თუ ეს არ არის შესაძლებელი, CAO ომბუდსმენი ვალდებულია აცნობოს საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ

შორის: საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციას, მულტილატერალურ ინვესტიციების საგარანტიო სააგენტოს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტსა და დირექტორთა საბჭოს იმის თაობაზე, რომ CAO-ს ომბუდსმენმა დახურა საქმე და გადასცა CAO-ს ოფისის აუდიტის განყოფილებას შემდგომი შეფასებისთვის.

1. საჩივარი ეხებოდა პროექტს, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მიერ ან მისი აქტიური მონაწილეობით. საჩივარში აღნიშნული საკითხები CAO ომბუდსმენის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენდა, კერძოდ კი - საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებას ითვალისწინებდა. საჩივარში აღნიშნული სოციალური ან/და ეკოლოგიური დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, მომჩივანი ან ისინი, ვისაც მომჩივანი წარმოადგენდა ეკოლოგიური თუ სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდნენ.

შესაბამისად, CAO-ს პროცედურული სახელმძღვანელოს თანახმად, CAO-ს ომბუდსმენმა დაიწყო საჩივარის განხილვის პროცესი და დავის გადაჭრის შესაძლებლობების ძიება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 120 სამუშაო დღეს, თუმცა, შესაძლოა დათქმულ ვადაზე ადრე დასრულდეს, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ საჩივარში წამოჭრილი საკითხები ადვილად მოსაგვარებელია.

ზემოაღნიშნული საჩივრის განხილვის დროს, სადავო საკითხების შეფასების მიზნით განხორციელდა სამუშაო ვიზიტი, შემდგომ კი წარმატებული მედიაციის პროცესი, რომლის დროსაც დავაში მონაწილე მხარეებმა გააფორმეს წერილობითი ხელშეკრულება. ამგვარად, წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს როგორც შეფასებით, აგრეთვე დასკვნით ანგარიშს.

2. პროექტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობისადენის პროექტი ითვალისწინებს 1760 კმ სიგრძის ნედლი ნავთობის მილსადენის სისტემის განვითარებას, დაფინანსებას, მშენებლობასა და ექსპლოატაციას. მილსადენის მეშვეობით ხორციელდება ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება სანგაჩალში არსებული ტერმინალიდან, რომელიც აზერბაიჯანში, ბაქოს მახლობლად მდებარეობს, საქართველოს გავლით თურქეთში, ხმელთაშუა ზღვაზე მდებარე ჯეიჰანის საექსპორტო ტერმინალამდე. აღნიშნული ნავთობსადენი სიდიდით მეორე ადგილზე მსოფლიოში და 17 000 მიწის ნაკვეთს კვეთს.

პროექტის ექსპლოატაციას ახორციელებს ბთჯ-ს კომპანია, რომელიც 2002 წელს დაარსდა და 11 პარტნიორისაგან შემდგარ კონსორციუმს აერთიანებს. ბრითიშ პეტროლიუმი (BP) პროექტში მონაწილე ყველზე მსხვილი აქციონერი კომპანიაა, რომელიც წამყვან როლს თამაშობდა მილსადენის დაპროექტებისა და მშენებლობის ეტაპზე, ამჟამად კი ექსპლოატაციას ახორციელებს.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მიერ აღნიშნული პროექტის მიზნებისთვის განხორციელებული ინვესტიციების საერთო ოდენობა 250 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, აქედან $125 მილიონის განკარგვა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის პირადი ანგარიშიდან მოხდა (რაც A კატეგორიის სესხის სახელწოდებით არის ცნობილი), ხოლო დანარჩენი $125 მილიონი კი - სინდიკატი სესხია (B კატეგორიის სესხი)). პროექტის საერთო ღირებულება დაახლოებით $3,6 მილიარდია.

ნავთობსადენის საქართველოზე გამავალი მონაკვეთი ქვემო ქართლის რაიონში, კერძოდ კი გარდაბანში იწყება, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და საქართველოს შვიდ რეგიონს კვეთს სამცხე-ჯავახეთის რაიონის ჩათვლით, სადაც ქალაქი ვალე მდებარეობს.

3. საჩივარი

2011 წლის ივნისში CAO-მ მიიღო საჩივარი საქართველოს ქალაქ ვალეს მცხოვრებლებისგან. აღნიშნულ საჩივარში ვალეს მცხოვრებლები გამოთქვავდნენ შეშფოთებას მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაზიანების თაობაზე. ძმები - ანზორ და ჯუმბერ ზაქროშვილები ამტკიცებდნენ, რომ ბთჯ-ს კონტრაქტორმა სამშენებლო კომპანია „არალმა“ დააზიანა მათი მიწები 2009 წლის დეკემბერში წარმოებული სამშენებლო სამუშაოების დროს. აღნიშნული სამუშაოები ბთჯ-ს პროექტს უკავშირდებოდა და ვალეს რაიონში ხორციელდებოდა. მომჩივანებმა აცნობეს CAO-ს, რომ მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენების შედეგად, სამშენებლო კომპანია „არალმა“ საგრძნობლად დააზიანა მათი მიწის ნაკვეთი, შედეგად დარჩა სამი ღრმა თხრილი, მიწა კი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის უვარგისი გახდა. მატერიალური რესურსების სიმწირის გამო, მომჩივანებმა ვერ შეძლეს საკუთარი ძალებით თხრილების ამოვსება და მიწის დამუშავება. ამასთან ერთად, ძმები ამტკიცებდნენ, რომ ბთჯ-მ არ შეასრულა საკისრი ვალდებულებები და არ აღადგინა კომპანია „არალის“ მიერ დაზიანებული მიწა, მომჩივანების არაერთი მიმართვისა თუ თხოვნის მიუხედავად.

4. შეფასების მეთოდოლოგია და შედეგები

CAO-ს მიერ წარმოებული შეფასების პროცესის მიზანია მომჩივანის მიერ წამოჭრილი საკითხებისა თუ პრობლემების გარკვევა და ინფორმაციის შეგროვება იმის თაობაზე, თუ როგორ განიხილავენ არსებულ საკითხებსა თუ პრობლემებს კონფლიქტის მონაწილე სხვა მხარეები. შეფასების პროცესი მნიშვნელოვანია როგორც ომბუდსმენისთვის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა მათ ერთობლივად განსაზღვრონ თუ რა გზებითა და მეთოდებით არის შესაძლებელი სადავო საკითხების გადაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ომბუდსმენი იკვლევს და ეცნობა საქმის მასალებს, მის უფლებამოსილებაში არ შედის მოდავე მხარეების განსჯა და მტყუან-მართალის გამოვლენა. CAO ომბუდსმენის საჩივრის შეფასების პროცესი შემდეგს ითვალისწინებს:

- პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვა

- გასაუბრებები, შეხვედრები და ჯგუფური მსჯელობები
- დელეგაციის გაგზავნა ქვეყანაში და საჩივარში აღნიშნული ადგილის დათვალიერება

2011 წლის აგვისტოში CAO-ს ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი საქართველოში პირველადი შეფასების მიზნით. ამ ვიზიტის მომზადების და მსვლელობის დროს CAO-ს ჯგუფმა განიხილა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის პროექტის დოკუმენტები, შეხვდა მომჩივანებს, ისევე როგორც ბრითიშ პეტროლიუმისა და კომპანია „არალის" წარმომადგენლებს. აგრეთვე, აწარმოა შეხვედრები საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ჯგუფთან. საწყისი შეხვედრების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიიღებდნენ მონაწილეობას CAO-ს მიერ წარმოებულ ნებაყოფლობით მედიაციის პროცესში.

5. მრჩეველი ომბუდსმენის მიერ დავის გადაჭრის პროცესი და დასკვნები

მედიაციის პროცესი ჩატარდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, კერძოდ კი -ქალაქ ბორჯომში, 2011 წლის 13 ოქტომბერს, მომჩივანების, ბრითიშ პეტროლიუმის სამი წარმომადგენლისა და კოპანია „არალის" დირექტორის მონაწილეობით. შემდგომი შეხვედრისა და მსჯელობის შედეგად, მხარეებმა საბოლოოდ მიაღწის შეთანხმებას და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. მხარეები დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ CAO ომბუდსმენის ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევდა ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესრულებას, რაც დაზიანებული მიწის ნაკვეთის აღდგენასა და მომჩივანებისთვის საკომპენსაციო თანხის გაცემას ითვალისწინებდა.[3]. 2011 წლის ნოემბერში CAO-მ დაადასტურა შეთანხმების სისრულეში მოყვანა ყველა მხარისთვის მისაღები სახით.

6. საბოლოო მოსაზრებები

შეთანხმების მიღწევის ნებაყოფლობითი პროცესი მხარეებს უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს [4]: დავების გადაწყვეტის ეს ფუნქცია საშუალებას აძლევს მხარეებს ნებაყოფლობით მოაგვარონ გამოვლენილი პრობლემები, ხელს უწყობს მათში პასუხისმგებლობისა და ანგარიშმგებლობის გრძნობის განმტკიცებას. ამასთან ერთად, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ წარმოქმნილ პრობლემასთან დაკავშირებით მდგრადი გადაწყვეტილებები მიიღონ, რომელიც დროის გამოცდას გაუძლებს (სწორედ იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილებები არ არის ხელოვნურად თავსმოხვეული, არამედ მხარეებმა თავად მიიღეს). მოცემულ შემთხვევაში, აშკარა იყო, რომ CAO-ს მიერ საჩივრის მიღების მომენტისათვის მხარეებს შორის ურთიერთნდობა ძალიან დაბალი იყო. მას შემდეგ, რაც CAO ომბუდსმენმა განუმარტა მხარეებს დავების გადაჭრის საშუალებები, მხარეებმა თანხმობა განაცხადეს მედიაციის პროცესში მიეღოთ მონაწილეობა და ეცადათ საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრა (მხარეებისთვის ცნობილი იყო, რომ რისკი ამ შემთხვევაში ძალიან დაბალი იყო და რომ მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ პროცესის შეწყვეტა). მოცემული პრობლემის წინაპირობიდან გამომდინარე, მხარეები საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი პროცესისადმი და ნაკლებად სჯეროდათ, რომ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა.

გამოცდილი და კვალიფიცირებული მედიატორების დახმარებით, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციაზე იდგნენ, გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები მოდავე მხარეების ხელში აღმოჩნდა. შედეგად, კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა წარმატებით შეძლეს

---

[3] მხარეების თხოვნით, ხელშეკრულების დედანი არ გამოქვეყნდება. წინამდებარე დასკვნა მხარეების თანხმობის შედეგად არის შემუშავებული.

[4] იხილეთ აგრეთვე CAO-ს 2010 წლის ანგარიში, გვ. 23, იმის გასაცნობად, თუ რა გავლენა მოახდინა ბთჯ-ს ადრეულმა საჩივრებმა CAO-ს მუშაობაზე ამ მიმართულებით.

http://www.cao-ombudsman.org/documents/CAO_10Year_AR_web.pdf

ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება. ნათელია, რომ საბოლოო შედეგი განსხვავდებოდა იმისგან, რასაც პროცესის დასაწყისში მოელოდნენ მხარეები ან მოითხოვდნენ, მაგრამ ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ, არსებული ვითარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე ოპტიმალური იყო და აკმაყოფილებდა მათ ძირითად მოთხოვნებს.

„ადგილობრივი“[5], გამოცდილი მედიატორების გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა: თითქმის ყველა საქმის მსვლელობის დროს CAO ომბუდსმენი პრობლემის შეფასების და დავის ერთობლივი მოგვარების პროცესში ადგილობრივ კონსულტანტებს ან/და მედიატორებს რთავს. როგორც CAO-ს 2011 წლის ანგარიშშია აღნიშნული, ადგილობრივი პარტნიორები მოლაპარაკების პროცესში მშობლიური ენის ცოდნასა და ადგილობრივი კულტურის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებსა თუ თავისებურებებს იყენებენ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მხარეებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებასა და დიალოგის წარმატებით წარმართვისთვის. გარდა ამისა, მათ უფრო ხშირად შეუძლიათ მხარეებთან ურთიერთობა, რადგან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში დიალოგისა და მედიაციის ინტენსიობა განსხვავდება. ვალეს საჩივართან დაკავშირებული მედიაციის პროცესი თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადგილობრივი რესურსის გამოყენება. უკრაინელი და ქართველი მედიატორებისაგან შემდგარმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დავის წარმატებით მოგვარების პროცესის ყველა ეტაპზე: წინასწარ შეფასებაში, მედიაციის პროცესსა თუ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგში.

მედიაცია უნდა განიხილებოდეს საჩივრების პროექტების დონეზე მოგვარების მექანიზმის მნიშვნელოვან საფეხურად ან შესაძლებლობად: 2008 წელს CAO-მ გამოაქვეყნა საინფორმაციო ბიულეტენი, სახელწოდებით „განვითარების პროექტების მსვლელობაში წამოჭრილი საჩივრების მოგვარების მექანიზმების განსაზღვრის სახელმძღვანელო“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ მხრივ მედიაციისა და სხვა „ინტერესზე დამყარებული“ მიდგომების გამოყენება. მრავალ კულტურასა და რეგიონში არსებობს დავის მოგვარების ტრადიციული ხერხები, რაც მესამე, ნეიტრალური მხარის - მედიატორის გამოყენების მსგავსია. ასეთი მიდგომების გათვალისწინება აუცილებელია პროექტის დონეზე საჩივრების მოგვარების მექანიზმის შემუშავების დროს. ამ მიდგომის უპირატესობაა რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა (ამგვარი მიდგომის შემთხვევაში საჩივრების/დავების მოგვარება უფრო ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და როგორც მატერიალური,

აგრეთვე სხვა რესურსების დაზოგვასაც ითვალისწინებს, როგორიცაა მაგალითად დრო, ემოციები, ენერგია და სტრესი), მხარეების კმაყოფილება მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით, მხარეთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესება და გრძელვადიანია გადაწყვეტილებების მიღება.

---

[5] „ადგილობრივი“ ყოველთვის არ ნიშნავს ადგილობრივი თემის ან ქვეყნის წარმომადგენელს. ხშირ შემთხვევაში, მეზობელი რეგიონის ან ქვეყნის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ენობრივი ცოდნა და სხვა საჭირო უნარები თუ გამოცდილება შესაძლოა მხარეების მიერ უფრო მეტად იყოს მიჩენეული დამოუკიდებელ და ნეიტრალური მედიატორად.